ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4602722

ნომერი: AR1694942

თარიღი : 15.07.2019

გაცემის თარიღი : 24.07.2019

გაცნობის თარიღი : 24.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 39 ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისაკენ მიმავალი გზის კუთხეში.; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა N39-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯანსუღ ბაბუნაშვილი პ/ნ 01030008251
- თბილისი მარაბდის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 15 ივლისის #AR1694942 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1691303 განაცხადის დადებითად დასრულებას მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის

გაგრძელებასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 1 ივლისის #AR1691303 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე გიორგი ინასარიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ქუჩა მარაბდა , # 39 ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა #39-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩისა და კუს ტბის საქვაბისაკენ მიმავალი გზის კუთხეში.; ქალაქი თბილისი , მარაბდის ქუჩა #39-ის მიმდებარედ (ს/კ #01.14.11.063.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება, რომელზეც სამსახურის 2019 წლის 16 ივლისის 4590855 ბრძანებით გაიცა თანხმობა, კერძოდ დაკმაყოფილდა მოქალაქე გიორგი ინასარიძის 2019 წლის 01 ივლისის #AR1691303 განცხადება და შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 ივლისის #3374974 ბრძანებაში. (ბრძანების მე–2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 06 ივლისისდან 2021 წლის 16 ივლისის ჩათვლით.“)

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტი სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.